„დაშლა არმოშლა„ კიდევ ერთხელ „დაშლილი„ და „აწყობილი„ სამსახურები

გვ. 2

მარიხუანით „თრობა„ დეკრიმინალიზებულია

გვ. 3

ჭოჭანური ფოთი საქართველოში

ფასი 50 თეთრი №1 22 - 29 იანვარი 2018 წელი\ გამოდის სამშაბათობით

ფოთში ახალი აიპის შეიქმნას საზოგადოების ნაწილი სკეპტიკურად შეხვდა

„ქალაქის სიყვარული მარტო ბრტყელ-ბრტყელი საღლეგრძელო როდია„

გვ. 3

სარეგულაციო ჰიდროკვანძის რეაბილიტაცია იწყება

გვ. 4

ფოთელების თვალით დანახული ევროკავშირი

გვ. 5

შენ ჯერ ეგ არ გინახავს?



აქ გვიპოვი ჩვენ

www.msnews.ge

„ტბებს„ შორის მოქცეული ფოთის ავტოსადგური

ივეტა პაჭკორია
ფოთი

თუ ვინმეს გასული საუკუნის 90-ან წლებში გასეირნება მოუნდება, რეკვავას ქუჩაზე მდებარე ავტოსადგურის შენობა უნდა მოინახულოს, რომელიც თავისი მიმდებარე ტერიტორიითურთ საქართველოს ისტორიის ავბედით 90-იან წლებს ადვილად გაგახსენებთ. მიუვალი გზა და იქ არსებული ორმოები, რომელიც წვიმის დროს ივსება, დანიშნულების ადგილამდე მისვლას აძნელებს. კედელს ჩამოყოლილი წვიმის წყლით კედლები მთლიანად ჩაშავებულია. განსაკუთრებით წვიმის დროს ავტოსადგურში გადაადგილება შეუძლებელია. მგზავრმა მისთვის სასურველ სამარშრუტო ტაქსამდე რომ მიაღწიოს, ამისათვის მას ავტოსადგურის შენობაში არსებული რამდენიმე „ტბის" გადაცურვა მოუწევს. ძველთან შედარებით განსხვავება ისიც არის, რომ მაშინ საკმაოდ დიდი მოსაცდელი დარბაზიც იყო, რომელსაც დღეს მფლობელმა სულ სხვა დანიშნულება მოუძებნა - შენობაში სადგურის გარდა განთავსებულია სხვადასხვა საწარმოებიც.

ავტოვაგზლის შენობა კომპანია „ვისოლ ჯორჯიას" საკუთრება გახლავთ. ავტოსადგური არენდით აქვს აღებული შპს „ფოთს". აღნიშნული შენობა 1987 წელს აშენდა და მას შემდეგ კაპიტალური რემონტი არ ჩატარებია. „ვისოლ ჯორჯიას" წარმომადგენელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ კომპანია არაა ვალდებული, გაარემონტოს შენობა, რომელიც არენდით აქვს გაცემული. მეიჯარე, რომელსაც ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, შიშობს, მესაკუთრემ ხელშეკრულება არ შეუწყვიტოს და ისიც არ არემონტებს შენობას. აქტია, რომ ორივე მხარე მოგებას იღებს, ქალაქის იერ-სახე კი გვარიანადაა შელახული, რაც, როგორც ჩანს, ნაკლებად აღელვებს მათ.

საინტერესოა, ამ შემთხვევაში მესამე მხარის - ადგილობრივი ხელისუფლების პოზიცია. მოგეხსენებათ, წლებია, ადგილობრივი ხელისუფლება ფოთის მომავალს ტურიზმის განვითარებაში ხედავს და ყველა შესაძლო შემთხვევაში ამ თემით აპელირებს, მაგრამ, ვეჭვობ, არც უფიქრია როგორ განვითარდება ტურიზმი შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარეშე. ცხადია, კერძო სექტორის საქმიანობაში ხელისუფლება ვერ ჩაერევა, მაგრამ როდესაც ბიზნეს სექტორის საქმიანობით ზიანი ქალაქის იმიჯს ადგება, უნდა არსებობდეს რაღაც მექანიზმები პრობლემის მოსაგვარებლად.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ დავით ჯგერენაიას

დასასრული 2-გვ.

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია - 599 341 417;
ინგაგვასალია
რედაქტორი
ივეტა პაჭკორია - 597 97 76 18

კორექტორი:
მაია ჩხეიძე
551 522 429-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია - 579 24 11 22

თეკლა მატკავა (ფოთი)
568 74 41 12

ივეტა პაჭკორია (ხობი)
568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

,,დაშლა არმოშლა,,კიდევ ერთხელ ,,დაშლილი,, და ,,აწყობილი,, სამსახურები

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 22 ნოემბრის №868 ბრძანების საფუძველზე, მერიის სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია განხორციელდა. შედეგად სამსახურები გაერთიანდა და ასევე სამსახურებიდან განყოფილებები გამოიყო.

ფოთის პოლიტიკურ რეალობაში სამსახურების რეორგანიზაცია "ცოცხალი ორგანიზმია"- ხან იშლება, ხანაც ერთიანდება. დღემდე ვერავინ ადასტურებს, რომელი ქმედება გამოდგა მართებული, რადგან, რეორგანიზაციის შედეგად არც ერთ სამსახურს ეფექტიანად არ უმუშავია და გაერთიანების შედეგი ყოველთვის დაშლა აღმოჩენილა. მერიის ადმინისტრაციის განმარტებით, გაერთიანება მერიის სისტემური და ეფექტური საქმიანობის მიზნით მოხდა.

რეორგანიზაციის შედეგად გაერთიანდა კულტურის, ძეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდის დაწესებულებებთან ურთიერთობის სამსახური და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურები, რის შედეგად ჩამოყალიბდა კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

გაუქმდა მერიის შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახური, ადმინისტრაციულ სამსახურს დაემატა ორი განყოფილება, კერძოდ: შესყიდვების და ინსპექტირების განყოფილებები. შესაბამისად, სამსახური ახალი სახელით ჩამოყალიბდა –მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურის სახელწოდებაც შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით –მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, რომელსაც დაემატა დევნილთა განყოფილება.

შეიქმნა შრომითი უსაფრთხოებისა და სახანძრო წესების დაცვის ზედამხედველობის განყოფილება, რომელიც დაემატა არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურს.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს დაემატა საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება.

შეიქმნა ახალი – მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ტურიზმის სამსახური.

უცვლელი დარჩა ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური; სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური; ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახური;

შესაბამისად არსებული 11 სამსახურიდან რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა 9 სამსახური. გამოცხადებულია ვაკანსიები 10 თანამდებობაზე.

მიუხედავად ახალი სამსახურების ჩამოყალიბებისა, სამსახურის უფროსის და მოადგილის თანამდებობების ვაკანსია არ გამოცხადებულა. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსის ინგა მასხულიას განმარტებით: „შიდა მობილობით მოხდა თანამშრომლების დასაქმება. რამდენიმე თანამშრომელს, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდნენ, ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ არ გაუგრძელდათ ხელშეკრულება"

,,ტბებს,, შორის მოქცეული ფოთის ავტოსადგური

დასაწყისი პირველ გვერდზე

თქმით, მიმდინარეობს მოლაპარაკება მესაკუთრესთან შენობის ფასადისა და მის მფლობელობაში არსებული ტერიტორიის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. ხოლო გარეპერიმეტრის მოწესრიგებაზე მუნიციპალიტეტი იზრუნებს.

აღნიშნულ თემას ჩვენი გაზეთი არაერთხელ შეეხო. ორი წლის წინ ავტოსადგურის ყოფილი დირექტორი დავით შონია "ვისოლთან" მოლაპარაკებას და სადგურის გარემონტებას აპირებდა, მაგრამ შენობას მოლაპარაკების შედეგიანობა არანაირად ეტყობა. სადგურის ახალი დირექტორი ვაჟა ციკოლია როგორც გვეუბნება, ფოთის ავტოსადგური მეორე კლასისაა, პირველი კლასის საგური კი საქართველოს არ აქვს: "შენობის რემონტი ქალაქმა უნდა მოთხოვოს მესაკუთრეს, რადგან ეს დიდ თანხებთანაა დაკავშირებული - ყველაზე მცირე 50 000 ლარი მაიც დაჯდება. ვთქვათ, გავარემონტეთ შენობა და ერთი წლის მერე ხელშეკრულება არ გაგვიგრძელოს მესაკუთრემ, მაშინ რა ვქნათ, "ვისოლს" ვურემონტოთ საკუთრება? რამდენიმე წლის წინ სახურავი შევარემონტეთ, მაგრამ მაინც ჩამოდის წყალი, მთლიანად უნდა გადაიხუროს. ქალაქსა და "ვისოლს" შორის უნდა მოხდეს მოლაპარაკება. არენდას ვადა იანვრის ბოლოს უმთავრდება. უნდა ჩავიდე თბილისში და ამ თემაზეც უნდა ვისაუბროთ. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ტელეფონით ვესაუბრე "ვისოლის" შესყიდვების მენეჯერს და მითხრა - ეს საკითხი ტელეფონით ვერ გადაწყდება, ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ მობრძანდით თბილისში და ხელმძღვანელობას ესაუბრეთო. თვის ბოლოს აუცილებლად უნდა ჩავიდე თბილისში".

რაც შეეხება სადგურის ტერიტორიაზე გაჩენილ ორმოებს, ციკოლიას განმარტებით ტერიტორიის მოხრეშვა-მოგრეიდერებას ხშირად აკეთებენ, მაგრამ წვიმის დროს ორმოები კვლავ ჩნდება: " სხვა რაღაცაა მოსაფიქრებელი, ასფალტირებასაც ვაპირებდით, მაგრამ როგორც გავიგე, "ვისოლი" ყიდის ამ შენობას. გამოდარებისთანავე კვლავ დავაგრეიდერებთ".

სადგურის საკმაოდ დიდი ყოფილი მოსაცდელი დარბაზი მფლობელმა „ვისოლ ჯორჯიამ" გააქირავა და

მას ცალკე მოიჯარე ყავს. სადგური კი მოსაცდელი დარბაზის გარეშეა დარჩენილი, რის გამოც მგზავრებს კიდევ უფრო მეტი დისკომპორტი ექმნებათ, რაც მაი და მძღოლების უკმაყოფილებას იწვევს, რაც ჩვენთან საუბარში ღიად აღნიშნეს: „ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს სადგურში არსებული მდგომარეობა. მაინტერესებს, ნუთუ მფლობელებს ერთხელაც არ უფიქრიათ, თუ კაპიტალურ რემონტი არა, ელემენტარული პირობები მაინც შეექმნათ მგზავრებისათვის? ავტობუსში ვერ ამოვედი, ყველგან წყალი დგას. მოცდით ვერსად მოიცდი, დაჯდომით ვერ დაჯდები, რა არის ეს ჩვენს საუკუნეში?"- ასეთია უკლებლივ ყველა მგზავრის უკმაყოფილება.

უნდა აღნიშნოს ის ფაქტიც, რომ კომპანია "ვისოლის" საკუთრებაში არაერთი შენობაა და ყველა მათგანი თითქმის დანგრევის პირასაა მისული. ვიმედოვნებთ, მოქმედ ავტოსადგურს ეს საფრთხე არ დაემუქრება.

ფოთში ახალი აიპის შექმნას საზოგადოების ნაწილი სკეპტიკურად შეხვდა

„ქალაქის სიყვარული მარტო ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელო როდია„

იველა პაჭკორია
ფოთი

ფოთში ახალი ა(ა)იპი სერვისების ცენტრი შეიქმნა. აიპების რაოდენობა წლების განმავლობაში სადავო თემა გახლავთ, ასევე სადავოა მათი საქმიანობის ეფექტურობაც. ყველაფერ ამის ფონზე კიდევ ერთი აიპის შექმნას საზოგადოების ნაწილი სკეპტიკურად შეხვდა. მოქალაქეთა უმრავლესობა თვლის, რომ ახალი აიპის შექმნა შეცდომაა, რადგან ფოთის მცირე ბიუჯეტს აღნიშნული აიპის სახით კიდევ ერთი დიდი სამსახურის რჩენა მოუწევს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სამსახურის შექმნის აუცილებლობაზე სპეციალისტები წლების წინ საუბრობდნენ, რადგან ნებისმიერი სამუშაოს შესასრულებლად ტენდერის გამოცხადება იყო საჭირო, რაც სამუშაოს დროში გაწელვის საბაბი ხდებოდა. ახალშექმნილი სერვისების ცენტრის საქმიანობის მიზანი ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, სანიაღვრე არხების, სატუმბი არხების, სატუმბი სადგურების, ლიფტების, შუქნიშნების, გარე განათების მოვლა პატრონობა, წყალარინების უზრუნველყოფა, უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, ადგილობრივი მოსაკრებლის ამოღება გახლავთ. ახალშექმნილი ა(ა)იპი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს ა(ა)იპის მიზნების რეალიზებას.

ახალი აიპის ბიუჯეტი 2 000 326 ლარია. დღეისათვის ცენტრში 265 თანამშრომელი ყავთ, რომელიც სამომავლოდ კიდევ გაიზრდება. დღეისათვის მიმდინარეობს ტექნიკური ბაზის სრულყოფა. სერვისების ცენტრმა მუშაობა ჰიდროგრაფიული ინსტიტუტის ტერიტორიის გაწმენდით დაიწყო. სერვისების ცენტრის დირექტორი ზაზა ვადაქარია როგორც ამბობს: „ცენტრი ეტაპობრივად კომპლექტდება კვალიფიციური კადრებით, მობილური ჯგუფივითაა - საჭიროებიდან გამომდინარე მივლენ ობიექტზე და რაც გასაკეთებელია, გააკეთებენ. ყოველ შემოსულ მოთხოვნაზე გაკეთდება დროული რეაგირება და გაკონტროლდება მათი შესრულების ხარისხიც. ახლო მომავალში დიდების მემორიალი უნდა გავწმინდოთ, შემდეგ ვგეგმავთ ტყე-პარკის გასუფთავებას. ფოთელი ვარ, აქ მიცხოვრია და ვიცი, სად რაა გასაკეთებელი".

მიუხედავად ა(ა)იპის მრავალფუნქციურობისა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ თავად მოსახლეობამაც უნდა იზრუნოს და მოუფრთხილდეს გარემოს. „მარტო აიპი ვერაფერს გააკეთებს ქალაქის საკეთილდღეოდ. საქმეს ერთობლივად უნდა მივხედოთ. კერძო მესაკუთრის ტერიტორიის დასასუფთავებლად სახელმწიფო რესურსის ხარჯვა გვეკრძალება, მაგრამ წერილით მივმართეთ მერიას, რომ ნაგვიანდება, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები დადიან და მოსახლეობას აფრთხილებენ, გარემოს დანაგვიანების შემთხვევაში არსებული ჯარიმების შესახებ. გეგმიური სამუშაოების გარდა ვასრულებთ სამუშაოებს მოთხოვნების შესაბამისადაც. უკვე შემოვიდა სამი წერილი მოსახლეობიდან, რომელიც შევასრულეთ. მოსახლეობიდან შემოვიდა წერილი "ნიკორას" ქარხნის შესასვლელი გზის მოწესრიგების შესახებ, იმავე დღეს გავედით და გავაკეთეთ, გაოცებული იყო მოსახლეობა. ცოტა ხანში ცხელ ხაზსაც გავხსნით" - გვითხრა სერვისების ცენტრის დირექტორის მოადგილემ ვერიკო ლაღიძემ.

ახალი აიპის შექმნის მომხრეა შპს „მობინადრე 2008" დირექტორი ალფონს მეტაქსა, რომელიც თებერვლიდან ცენტრს შეუერთდება. მეტაქსას აზრით, სხვა აიპებისაგან განსხვავებით, ეს იქნება მუშა აიპი: „38 წელია ამ სფეროში ვმუშაობ და მგონია, რომ გაამართლებს ეს აიპი. თან აიპის პრივილეგია ის გახლავთ, რომ არ იხდის დამატებით გადასახადებს. მე, მაგალითად, ყოველ წელს 28 000 ლარს ვიხდი, ამ თანხით სხვა საქმის გაკეთება შეიძლება, მაგალითად 3 ადამიანს დავასაქმებ. ტენდერით მუშაობის შემთხვევაში ბიზნესმენი ორიენტირებულია მოგებაზე. აიპის ორიენტაცია კი იქნება საქმის კეთება. ძალიან მომეწონა მუნიციპალიტეტების ჩართვა ამ საქმეში".

მეტაქსამ ასევე საზოგადოებას მიმართა: "თითოეული ჩვენთაგანი თუ არ მოუვლის საკუთარი ეზოს წინ არხს, ქუჩას, მაშინ ვერანაირი ა(ა)იპი ვერ გვიშველის. შევესწარი ისეთ ფაქტსაც, როდესაც არხს წმენდნენ, იქვე მდგომმა ადამიანმა ლუდი დალია და ბოთლი ახალ ამოწმენდილ არხში ჩააგდო. რომელ ზნეობაზე და ქალაქის სიყვარულზეა საუბარი? მინდა, ადგილობრივ ხელისუფლებას მოვუწოდო, დავაყენოთ რამდენიმე ადგილას ვიდეოთვალი და ასეთი ქმედებისათვის დაჯარიმდნენ ადამიანები. შეიძლება ამის შემდეგ თუ ქალაქის სიყვარულით არა, შიშით მაინც არ დაანაგვიანონ გარემო და ქალაქი. ქალაქის სიყვარული მარტო ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელო როდია".

მარიხუანით „თრობა„ დეკრიმინალიზებულია

თეკლე მატკავა
ფოთი

დღეს პარლამენტი, მედია და მთელი საზოგადოება მსჯელობს, როგორი უნდა იყოს ნარკოპოლიტიკა საქართველოში. ბუნებრივია, ყველა დაინტერესებული მხარე ცდილობს დაამტკიცოს საკუთარი პოზიციის მართებულობა. ამ დროს აუცილებელია საზოგადოებას ჰქონდეს სრული ინფორმაცია როგორც ერთი, ისე მეორე მხარის პოზიციებისა და, ზოგადად, მსოფლიო პრაქტიკის შესახებ, რათა ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით შედგეს საყოველთაო შეთანხმება.

მარიხუანას ლეგალიზაცია ძალიან აქტუალური თემაა დღეს საქართველოში. საზოგადოება ორ ნაწილადაა გაყოფილი - ერთი თვლის, რომ უნდა მოხდეს ლეგალიზაცია, მეორე ნაწილი კი ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. ბევრს ლაპარაკობენ მარიხუანას ჯანმრთელობისათვის სასარგებლო თვისებებზე. თითქოს ამ მცენარეს მათი მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია. მხარდამჭერი ადამიანები ხშირად მართავენ აქციებს და სხვა ღონისძიებებს თავიანთი შეხედულებების, მოთხოვნების გამოსახატავად. რაც შეეხება მოწინააღმდეგეებს, მათ შორის არიან სასულიერო პირები, რომლებიც თვლიან, რომ მარიხუანას ლეგალიზებით დაიღუპება მომავალი თაობა, თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ პირადი მოხმარებისათვის ადამიანს ციხეში წლობით არ უნდა სვამდნენ. თემაზე მუშაობისას გავეცანი ორივე მხარის შეხედულებებს, მოსაზრებებს, მაგრამ საბოლოო შედეგი ჯერ არ დამდგარა.

მარიხუანის მომხმარებელთა, და უბრალოდ, იმ ადამიანების სასიხარულოდ, ვინც ფიქრობს, რომ მარიხუანით „თრობა" არ არის კრიმინალი, საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 30 ნოემბერს მარიხუანის მოხმარება სისხლის სამართლის დანაშაულიდან გამიჯნა. თუმცა, ამ ნივთიერების მოხმარება ისევ უკანონოდ მიიჩნევა და ლეგალიზებას არ ნიშნავს. სწორედაც ამან გამოიწვია ხალხში გაურკვევლობა. ჯერ პარლამენტს არ მიუღია კანონში ცვლილება, მოსახლეობის გარკვეული ნაწილს კი მიაჩნია, რომ ეს მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზმისკენ. რას ნიშნავს მარიხუანას დეკრიმინალიზაცია და ლეგალიზაცია. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ჯემალ ჭკადუამ როგორც გვითხრა: "როდესაც პარლამენტი კონკრეტულ მუხლს შეცვლის, ამ შემთხვევაში მარიხუანას დეკრიმინალიზაცია მოხდება, ესე იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დადგება აღნიშნულ ქმედებაზე, ანუ მარიხუანას მოხმარების შემთხვევაში არ იქნება მკაცრი დამოკიდებულება. ამიტომაც არის საუბარი ლიბერალიზაციაზე. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა განსხვავდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან. პირველის შემთხვევაში პასუხისმგებელ პირს რჩება ნასამართლეობა, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემთხვევაში - ეხსნება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება აუცილებლად შესასრულებელია პარლამენტის მიერ. განვმარტავ, რომ თუ საკონსტიტუციო სასამართლომ ცნო რომელიმე ნორმა, ან მუხლი არაკონსტიტუციურად, ის მუხლი უქმდება".

საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არამარტო სამართლებრივი კუთხით, არამედ მარიხუანას სასიკეთო თვისებებზეც არსებობს. რა არის მარიხუანა, რამდენად დადებით ან უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის გონებრივ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე, რამდენად ხდება ადამიანი მასზე დამოკიდებული. როგორც ფსიქოლოგ-ნარკოლოგმა ზაზა გუნცაძემ განგვიმარტა: "უპირველესად,

დასასრული 4-გვ.

მარიხუანით „თრობა„ დეკრიმინალიზებულია

დასაწყისი 3-გვ.

ვფიქრობ, უნდა გაიმიჯნოს დეკრიმინალიზაცია და ლეგალიზაცია. მარიხუანას მოწევისთვის ციხეში არ უნდა უშვებდნენ ადამიანებს, ეს ცალსახაა, მაგრამ არ ვთვლი, რომ უნდა მოხდეს მისი ლეგალიზაცია და ხელმისაწვდომი გახდეს მოქალაქეებისათვის. მარიხუანა როგორც კი შედის ორგანიზმში, მოქმედებს ტვინის იმ გარკვეულ რეცეპტორებზე, რომლებიც თავმოყრილია ტვინის იმ უბანში, რაც პასუხისმგებელია მეხსიერებაზე, აზროვნებაზე, მოძრაობის კოორდინაციაზე და აღქმაზე. სწორედ აქედან მოდის ის ეფექტები, რაც მარიხუანის მიღებას მოჰყვება. მარიხუანა ხშირად ხდება ერთგვარი „ხიდი“ სხვა უფრო მძიმე ნარკოტიკების მოხმარებისათვის. გავრცელებული აზრი, თითქოს მარიხუანა არ იწვევს დამოკიდებულებას, მცდარია. ხშირი მოხმარება იწვევს დამოკიდებულებას. ხოლო რაც შეეხება სამედიცინო თვისებებს, მას არანაირი სამედიცინო სარგებელი არ აქვს. პირიქით, იწვევს სხვადასხვა ქრონიკულ დაავადებას“.

გაზეთმა „მთავარი თემა სამეგრელოში“ გამოკითხა მოსახლეობა, რამდენად ემხრობა მარიხუანას დეკრიმინალიზაციასა და ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას. ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას ძირითადად ახალგაზრდები ემხრობიან, რომელთათვის აქტუალურია მოსაზრება - „ჩემს თავს ვავნებ, სხვისი რა საქმეა“. ემზარ კვარაცხელიამ როგორც გვითხრა: „არა მარტო მარიხუანის, ყველა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაციის მომხრე ვარ და უპირობოდ უნდა შეიცვალოს კანონი. ნარკოტიკები იარაღია სამართალდამცავებისთვის, რომ მარტივად შეძლონ მოქალაქეებზე ტერორის განხორციელება. ციხე გამოსავალი არ არის, ალტერნატიული სარეაბილიტაციო ცენტრები მოაგვარებს ყველა პრობლემას. მარიხუანას დეკრიმინალიზაცია უკვე გვაქვს, ახლა მთავარია, ყველა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაცია მოხდეს“.

გამოკითხულთა უმეტეს ნაწილს რატომღაც ყოველთვის საზღვარგარეთის, კერძოდ ევროპის ქვეყნები მოყავთ მაგალითად. თუმცა, ბევრ ცივილიზებულ და განვითარებულ ქვეყანაში მარიხუანას მოხმარება აკრძალულია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მარიხუანის მოხმარება მხოლოდ სამედიცინო დანიშნულებით გამოიყენება და კანონით მაინც არალეგალურია. ევროპის ბევრ ქვეყანაში მარიხუანის მოხმარება დეკრიმინალიზებულია. მაგალითად ავსტრიაში 2016 წლიდან 5 გრამამდე რაოდენობის მარიხუანის შენახვა, ყიდვა დეკრიმინალიზებულია. ბელგიაში 2003 წლიდან სრულწლოვანი მოქალაქეებისათვის 3 გრამამდე მარიხუანის შენახვა და ერთი ძირის მოყვანაა ნებადართული. „მარიხუანას მოწევა ჩვენთან დასჯადი არ არის, არც დაგიჭერენ და არც დაგაჯარიმებენ. თუმცა, ქუჩაში მოწევაც არ არის დაშვებული. სახლში და შესაბამის სივრცეში მოწევა შეიძლება მხოლოდ“- აღნიშნა ბელგიის მოქალაქე ტომ ბომანმა. გერმანიაში მარიხუანა არალეგალურია. თუმცა, პირადი მოხმარების მიზნით გამოყენება ნებადართულია, ვინაიდან საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებად ითვლება და კრიმინალურ აქტს არ წარმოდგენს. მარიხუანის ყიდვა, ტრანსპორტირება და მოყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაშია ლეგალური, თუ ედერალ Iსტიტუტე ოფ რუგს ანდ ედიცალ ევიცეს მიერ არის ნებართვა გაცემული. ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი რესპონდენტი კობა გ. როგორც გვეუბნება: „ნარკოპოლიტიკა ლეგალიზებული უნდა იყოს საქართველოში, რადგან მარიხუანის და სხვადასხვა ნარკოტიკის მომხმარებლისათვის აკრძალვას ბარიერი არ შეუქმნია მათთვის. ფაშისტურ გერმანიაში ჰიტლერმა ნარკომანებისათვის ყველა აფთიაქში ნარკოტიკული მედიკამენტის შეძენა ლეგალიზებული გახადა ერთი პირობით - მომხმარებელს შესყიდვა თავისი პირადობით უნდა განეხორციელებინა. გარკვეული დროის შემდეგ ყველა სააფთიაქო ქსელში აღნუსხული ნარკოტიკული წამლების მომხმარებლები შეკრიბა, ერთ გემში ჩასვა და შუა ზღვაში ჩაძირა. მერედა, ამის შემდეგ გერმანიაში მოისპო ნარკომანია? გამოდის, აკრძალვით ნარკოტიკების მოხმარებას ვერავინ მოსპობს“.

ნინო მაჩაბერიძე დეკრიმინალიზაციის მომხრეა: “ ვთვლი, რომ ადამიანებს არ უნდა იჭერდნენ იმის გამო, თუ ისინი საკუთარ თავს აყენებენ ზიანს. ჩვენ ხომ არ ვიჭერთ ლოთებს, რომლებიც ასევე ზიანს აყენებენ საკუთარ თავს და ხშირად სხვასაც,ანდა მწეველებს? ამასთან, დეკრიმინალიზაციის მიღებით ერთხელ და საბოლოოდ დასრულდება ე.წ „ჩადებების“ თემაც“.

გიორგი გვასალია თვლის, რომ დეკრიმინალიზაცია აუცილებელია, მაგრამ ქვეყანაში ყველაფერი უნდა მოხდეს თანმიმდევრულად: “უნდა ჩამოყალიბდეს ის რისკები, რომლებიც იარსებებს დეკრიმინალიზაციის შემდეგ. ხალხის თვითშეგნება და ინფორმირებულობის დონეც უნდა ამაღლდეს. არ უნდა იყოს დეკრიმინალიზაცია ლეგალიზების ტოლი, ყველაფრის ერთდროული გათავისუფლება და გალიბერალურება არ უნდა მოხდეს, უნდა გაიზარდოს კონტროლი, რათა არ იმატოს და არ შემოვიდნენ ახალი რეალიზატორები და ბიზნესის სახედ არ აქციონ“.

გამოკითხულებს შორის იყვნენ ისეთი მოქალაქეებიც, რომლებიც კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ არამარტო მარიხუანის,არამედ ყველა ნარკოტიკული საშუალების ლეგალიზებისა და დეკრიმინალიზაციისა. „ყველა გამსაღებელს და მათ მფარველებს დახვრეტა, ხოლო მომხმარებლებს დიდი ფულადი ჯარიმა და ციხეში მკურნალობა“- ასეთი “განაჩენი” გამოიტანა ტრისტან დანელიამ. მონიკა ფიფია თვლის, რომ ქართველებს ზომიერების შეგრძნება არ აქვთ, არ იციან ზღვარი: “ვთვლი, რომ არც დეკრიმინალიზაცია, და მით უფრო ლეგალიზება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება“.

ამ საერთო გაურკვევლობის და ეიფორიის ფონზე, პარლამენტმა მოუსმინა კანონმდებლებს, დეპუტატებს, როგორც მმართველ გუნდში ისე სხვებსაც. თემის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. როგორც ალექსანდრე ბარამიძემ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც აუცილებლად შესასრულებელია. თუმცა, მკაცრად და გარკვევით დააფიქსირა თავისი აზრი, რომ ლიბერალიზაცია არის სასჯელის შემსუბუქება და არავინ აუქმებს სისხლის სამართლის სასჯელს ანდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელმა ეკა ბესელიამ როგორც განაცხადა: “იმ ეტაპზე, როდესაც სასამართლოები საკუთარი ინტერპრეტაციით და საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით იღებენ გადაწყვეტილებას ისე, რომ არ არსებობს საკანონმდებლო ცვლილება, მაინცდამაინც კარგი მოცემულობა არ არის. ძალიან უხერხულად გამოიყურება ვითარება, რადგან პარლამენტმა ორი წლის განმავლობაში კანონში ცვლილებები ვერ განახორციელა”.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებით, ქვეყანაში, 70 გრამამდე გამომშრალი და 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვა პატიმრობით აღარ ისჯება, მაგრამ სხვა სანქციები ძალაში რჩება. რაც შეეხება ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებას, სასამართლოს არც ერთი გადაწყვეტილება აღნიშნულ ქმედებაზე არ ვრცელდება.

სარეგულაციო ჰიდროკვანძის რეაბილიტაცია იწყება

თეკლა მაჭკავა
ფოთი

ფოთში, მდინარე რიონის სარეგულაციო ჰიდროკვანძის სარეაბილიტაციო სამუშაოები მალე დაიწყება. მანამდე წყალმარეგულირებელი ნაგებობა შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა არჩილ ბუკიამ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ჩხაიძემ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მხარის გუბერნატორთან ერთად დაათვალიერეს და იქ არსებულ მდგომარეობას ადგილზევე გაეცნენ.

პროექტი კაშხალის ათივე ფარის ამოწევას და მათ გახსნილ მდგომარეობაში დაფიქსირებასითვალისწინებს. აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდება სარეგულაციო ჰიდროკვანძს, ახლით შეიცვლება ამორტიზებული ელექტროტექნიკა. პროექტის მიხედვითვე, ჩატარდება ყველა საჭირო სამუშაო, რადგან შესაძლო წყალდიდობის შემთხვევაში ნაგებობა მზად იყოს, გაატაროს წყლის მაქსიმალური მოცულობა და არ მოხდეს ფოთის და ხობის მუნიციპალიტეტის სოფლების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დატბორვა.

“ადგილზე გავეცანით პროექტის დეტალებს და ადგილზე შევისწავლეთ არსებული მდგომარეობა. პროექტის მიზანია, ჰიდროკვანძის ყველა სისტემა გამართულად ფუნქციონირებდეს, რათა სამომავლოდ, წყალდიდობის შემთხვევაში, ნაგებობა მზად იყოს წყლის მაქსიმალური მოცულობის გასატარებლად. ტენდერი გამოცხადებულია და უახლოეს მომავალში გამოვლინდება გამარჯვებული კომპანია, რომელიც განახორციელებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. პირველ ეტაპზე, წყლის მარეგულირებელი ფარები ამუშავდება, შემდეგ კი, წლის განმავლობაში, სხვა სამუშაოები ჩატარდება. 1 მარტს დასრულდება პირველადი სამუშაოები” - გვითხრა გიორგი ჩხაიძემ.

ზემოაღნიშნული ობიექტი შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში 2017 წლის 1 დეკემბერს გადავიდა. არსებული მდგომარეობის შესასწავლად კომპანიამ ჩაატარა შესაბამისი სამუშაოები. მდგომარეობის დეტალურად შესწავლამ ცხადყო, რომ ნაგებობა სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს.

მდინარე რიონის სარეგულაციო ჰიდროკვანძის რეაბილიტაციისათვის 1 367 815-მდე ლარი დაიხარჯება.

ფოთელების თვალით დანახული ევროკავშირი

ინგა გვასალია
ფოთი

საქართველოში ბევრმა არ იცის, რას წარმოადგენს რეალურად ევროკავშირი და მისი ინსტიტუტები. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამის მიზეზი ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების მედიის მიერ არასაკმარისად გაშუქება გახლავთ. როგორც ისინი აღნიშნავენ, მხოლოდ ზედაპირული ხასიათის მასალები შუქდება. საზოგადოებას ევროკავშირზე საფუძვლიანი ცოდნის გარეშე აქვს წარმოდგენა შექმნილი, მაგრამ სურთ ევროკავშირში გაწევრიანება.

საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ ესტონეთის ელჩმა „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ფორმატში იანრე ინჰოლდმა მსნეწს.გე – სთან საუბრისას როგორც განაცხადა „თქვენთვის ჯობია, იმუშაოთ გარკვეულ საკითხებზე და ნელ-ნელა იაროთ. ჩვენ ვთვლით, რომ ძალიან კარგი ნიშანი მივიღეთ სამიტიდან, რომელიც ბრიუსელში 2017 წლის 24 ნოემბერს ჩატარდა. ვიცით, რა უნდა ვაკეთოთ მომავალში. ბევრი ვისაუბრეთ აღმოსავლეთ პარტნიორობის პლუსების შესახებ. ჩვენთვის, ესტონელებისთვის და ევროკავშირისთვის, მნიშვნელოვანია, რომ ექვსივე ქვეყანას ცალ-ცალკე დავაკვირდებით. გვინდოდა, ყველა ქვეყნის პრეზიდენტს ამ სამიტიდან გარკვეული მესიჯი მიეღო, რომ შეძლონ აუხსნან უბრალო ადამიანებს, რისთვის გვჭირდება ევროკავშირი და ევროინტეგრაცია. ვფიქრობ, საქართველოს დიდი პერსპექტივა აქვს, რადგან თქვენ პატარა ქვეყანა ხართ, რომელმაც ბევრ რამეს მიაღწია. 8 წელია, რაც თქვენ ეს პოლიტიკა გაგაჩნიათ. 26 წელია, საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოხვედით და შესაძლოა უკვე 25 წლის მერე ესტონელებმა მოგმართონ რჩევისთვის. თუ შევადარებთ უკრაინასა და საქართველოს, უკრაინა შედარებით დიდი და მრავალრიცხოვანი ქვეყანაა. რეფორმების ჩატარება გაცილებით ადვილია პატარა ქვეყანაში. თქვენ ძალიან კარგად შეესაბამებით ევროკავშირს".

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი კორნელი კაკაჩია თვლის, რომ საქართველო ამ ეტაპზე მართლაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ფლაგმანი გახლავთ –“ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბევრი რამ გააკეთეს ამ სტატუსის მისაღწევად. თუმცა, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, თავის დროზე მოლდოვა იყო ფლაგმანი, მაგრამ მოლდოვაში კორუფციული სკანდალების შემდეგ, ასევე უკრაინაში კორუფციული სისტემების არსებობის გამო, წინ ვერ წაიწიეს, უფრო პირიქით, უკან დაიხიეს. ეს ორი ქვეყანა ითვლებოდა საქართველოს კონკურენტად, მაგრამ ახლა ამ ფონზე საქართველო უფრო გამოჩნდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ძალიან წინ წავედით. გასაკეთებელი ძალიან ბევრია - ასოცირების ხელშეკრულებები შესასრულებელია ბოლომდე, ანუ რაღაც ნაწილი შევასრულეთ. ჩვენ თავი არ უნდა გავუტოლოთ მოლდოვას და უკრაინას, რადგან ჩვენი ამბიციები ცოტა უფრო მაღალია. ჩვენ ჩვენი თავი უნდა გავუტოლოთ ბალტიისპირეთის ან სხვა ქვეყნებს. ისინი უნდა ავიღოთ საზომად, რადგან გვსურს ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანება. ჩვენს მიმართ მიდგომაც უფრო სხვანაირად მკაცრიც იქნება. აქედან გამომდინარე, დიდი აჟიოტაჟის შექმნა არ არის საჭირო. ძალიან მიხარია, ჩვენი პოზიციების კარგად შეფასება, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს ხელისუფლებისთვის თავბრუდამხვევი". საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებიდან ზოგი მათგანი შესრულებულია, ზოგი კი მხოლოდ ქაღალდზეა გაწერილი, თითქოს შესრულდა, სინამდვილეში კი არაფერი კეთდება ამ კუთხით. აღნიშნული არაერთხელ გააპროტესტეს არასამთავრობოების წარმომადგენლებმა. აღებული ვალდებულებით უნდა დაწესებულიყო შრომის უსაფრთხოების უფრო მაღალი სტანდარტები სამუშაო ადგილებზე და შექმნილიყო შრომის ბაზრის ისეთი აუცილებელი ინსტიტუტი, როგორიცაა შრომის სახელმწიფო ინსპექცია, რომელსაც უნდა განეხორციელებინა სრულფასოვანი ზედამხედველობა, როგორც დასაქმებულთა სამუშაო გარემოს უსაფრთხოებაზე, ისე შრომის კანონმდებლობის იმპლემენტაციაზე; უნდა გაგრძელებულიყო არსებული შრომის კანონმდებლობის დახვეწა მისი საერთაშორისო სტანდარტებთან და ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან ჰარმონიზების მიზნით.

შეუძლის თუარა აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ხელს საქართველოს ევროკავშირში გასაწევრიანებლად, ამაზე ექსპერტს თავისი მოსაზრება აქვს - „ამ ეტაპზე შეიძლება ქაღალდზე ყველაფერი კარგად გამოიყურებოდეს, მაგრამ საბოლოოდ, ბუნებრივია, გამოჩნდება ეს ხარვეზები. რაც მთავარია, ეს აისახება მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. რეფორმების არსიც სწორედ ისაა, რომ ქვეყანაში გაუმჯობესდეს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ეს აისახოს მოსახლეობაზე. თუ ეს მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, რათქმა უნდა, შედეგი არ იქნება. ამიტომაცაა ასეთი მნიშვნელოვანი მოქალაქეების გათვიცნობიერება და მათი ცნობიერების ამაღლება, რისთვისაც სამოქალაქო სექტორმა უნდა იაქტიუროს. თუ მოქალაქეებმა არ იაქტიურეს, მარტო ევროკავშირი ვერაფერს გააკეთებს. ევროკავშირთან ინტეგრაცია კარგად უნდა ესმოდეს ნებისმიერ მოქალაქეს“.

რა იციან ფოთში ევროკავშირის შესახებ და რას მოელის საზოგადოება ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებისგან? მსნეწს.გე -მ რამდენიმე ადამიანი გამოკითხა -უჭერენ თუ არა მხარს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას და რატომ?

"საქართველო ევროპული ქვეყანაა და რაც მეტი კავშირი გვექნება ევროპასთან, მით უკეთესი. ევროპელები ვართ და გვინდა, ისეთივე ცხოვრება გვქონდეს, როგორიც ევროპელებს აქვთ. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ გავხდებით ევროკავშირის წევრი".

"ევროპის ქვეყნები უფრო გამოადგება საქართველოს, ვიდრე აზიის. საქართველო უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი. უნდა დაიკავოს თავისი ღირსეული ადგილი ჩვენმა პატარა, მაგრამ უდიდესი კულტურისა და ისტორიის მქონე ქვეყანამ"- ასეთია ძირითადად ქუჩაში გამოკითხულთა მოსაზრება, თუმცა ალაგ-ალაგ საწინააღმდეგო მოსაზრებაც მოვისმინეთ, რაც სწორედ არასწორი ინფორმაციის გამო აქვთ ჩვენს მოქალაქეებს.

ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბაქარ ერაგია როგორც ამბობს, ევროკავშირში გაწევრიანება პანაცეა არ გახლავთ და არ მოაგვარებს ყველა პრობლემას -“მთავარია, ვიაროთ ევროპისკენ, ევროპული სტანდარტები დავაწესოთ და დავამკვიდროთ ქვეყანაში. მთავარია, სოციალური დონით მივაღწიოთ თუნდაც აღმოსავლური ევროპის დონემდე და შემდგომ როდესაც ჩვენ და ევროკავშირი ჩავთვლით რომ მზად ვართ ევროკავშირში გაწევრიანებისთვის, რამდენად გვენდომება ეს, მაშინ განვსაჯოთ. ჩემი აზრით, მთავარია გზა ევროპისკენ და არა გაწევრიანება. თვითმიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ გაწევრიანება, არამედ მთავარი მიზანი უნდა იყოს ცხოვრების დონის გაუმჯობესება, სტანდარტების ამაღლება. გაწევრიანება კი არ მოუტანს ქვეყანას წარმატებას, არამედ ევროპული ფასეულობების დამკვიდრება. ევროკავშირში რომ გავწერიანდეთ, ქვეყანაში უნდა იყოს ლიბერალური კანონმდებლობა, ადამიანის უფლებები არ უნდა ირღვეოდეს, არ უნდა იყოს მონოპოლიები, არამედ კარგად განვითარებული ანტიმონოპოლიური სისტემა, საბანკო სფეროში არ უნდა იყოს კაბალური პირობები და ბანკები არ უნდა იყვნენ ეკონომიკის ძირითადი განმსაზღვრელები, მრავალპროფილური ბიზნესები არ უნდა გვქონდეს საბანკო სფეროში, ყველაზე მთავარი - შრომითი უფლებები და უსაფრთხოების ნორმები უნდა იყოს ქვეყანაში დაცული. აი, ეს ყველაფერი რომ გაუმჯობესდება, ესაა ევროპა. ამ გზით უნდა ვიაროთ. ამისთვის უნდა ვიშრომოთ. ძალიან დიდი ეფექტი აქვს უვიზო მიმოსვლას. ადამიანის თავისუფლება გვგონია ევროპა და ეს არაა ევროპა, იქაც შეზღუდულია ადამიანი კანონის ჩარჩოში. ევროკავშირი ზოგს მონსტრად მიაჩნია, ზოგს მხსნელად. იგი არც ერთია და არც მეორე - ეს არის უბრალოდ მოდელი, როგორ შეიძლება უკეთ ვმართოთ ჩვენი ქვეყანა“.

ფოთელი ქეთევან გვარამია მიიჩნევს, რომ წინასწარ არავინ იცის, რა როგორ იქნება, მაგრამ ხალხს უნდა წაადგეს და უკეთესობისკენ წავიდეს მდგომარეობა და მნიშვნელობა არ აქვს, ვიქნებით ევროკავშირში თუ არა. მთავარია, ეკონომიკური პირობები გაუმჯობესდეს და ადამიანების ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო მოთხოვნილებები დაკმაყოფილდეს. ევროკავშირს რაც შეეხება, ამ საკითხში დიდად ჩახედული არ ვარ. მესმის ტელევიზიით, რომ ყველაფერი იდეალურად იქნება, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამის ილუზია არ მაქვს. ვფიქრობ, გავიზიარებთ მათ გამოცდილებას საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა უნდა იყოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, მაგრამ არა ომით, არამედ მშვიდობიანად. უკვე საკმარისზე მეტად ვიომეთ“.

ფოთელი ლირა კეკელიძე როგორც გვეუბნება: „ევროკავშირში ისეთი ქვეყნებია, რომელიც თავისი ისტორიით, კულტურით, სხვადასხვა მიღწევებით სამაგალითოა ამ ეტაპზე. შესაძლოა მე-12 საუკუნეში ჩვენ ვიყავით სამაგალითოები, მაგრამ 21-ე საუკუნეში ჩვენთვის საინტერესო ქვეყნებია რომლებიც ხასიათდებიან მრავალფეროვანი ტრადიციების შენარჩუნებით და ამავდროულად, ამ ტრადიციების გვერდით ვითარდება ახალი ტექნოლოგიური სამყარო. ერთმანეთის გვერდიგვერდ არიან და ერთმანეთს ხელსაც არ უშლიან, პირიქით, უფრო ვითარდებიან. იტალიაში ყოფნისას აღმაფრთოვანა საკუთარი წარსულის სიყვარულმა. იქ ჩასვლისას გრძნობ, რომ 21-ე საუკუნეში ხარ და ცივილიზაციის ყველა სიკეთეებით სარგებლობ. თან, ხედავ, რომ ის რაც ღირებულია, სიძველეა, უცვლელ მდგომარეობაშია. იქ ვერ ნახავ წამოჭიმულ უაზრო ულამაზეს ულტრათანამედროვე დუბაის მაგვარ სასტუმროებს. პატივისცემით ეპყრობიან იმ მრავალფეროვნებას და იმ ატმოსფეროს უფრთხილდებიან. მინდა, თანამედროვე საქართველოში 21-ე საუკუნეში ვცხოვრობდე. ხიდი, რომელიც გაიდება ევროკავშირთან, ვფიქრობ სიკეთის მომტანი იქნება ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის. ჩვენ მათგან ეს უნდა ვისწავლოთ საკუთარი თავისადმი პატივისცემა, პიროვნებისადმი, ქვეყნისადმი, ქალაქისადმი ღირსეული დამოკიდებულება. ვოცნებობ იმ დროზე, სადაც პიროვნებას, ყოველ ადამიანს მნიშვნელობა ექნება და დაფასდება".

გაზეთი ,,მთავარი თემა სამეგრელოში,, აცხადებს კონკურსს ქალბატონებისათვის სახელწოდებით

,,წარმატებული ქალი 2018,,

ძვირფასო ფოთელებო ჩვენი გაზეთის მეშვეობით გეძლევათ შესაძლებლობა თავად აირჩიოთ წარმატებული ქალი. ამისთვის გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმ ქალბატონების შესახებ, ვინც ნებისმიერ სფეროში წარმატებული საქმეებით გამოირჩევიან. რჩეულთა კანდიდატები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ რედაქციაში, ან დაგვირეკეთ, გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:

mtavaritsamegrelshi@gmail.com

წარმოდგენილი კანდიდატების შერჩევა მოხდება კონკურსის სახით. გაზეთში დაბეჭდილი სპეციალური ბლანკის მეშვეობით გამოვლინდება წარმატებული ქალი.

ამჯერად გთავაზობთ ორ კონკურსანტ ქალბატონს საადმზრდელო დანესებულების გაერთიანების ხელმძღვანელს მარგო ჯანიაშვილს და ეკიმ ეკატერინე ლომინაძეს

მარგო ჯანიაშვილი: ,,სიყვარულით ნაკეთებ საქმეს არაფერი სჯობს,,

სკოლამდელი დაწესებულების გაერთიანების უფროსი, საოცრად საქმიანი, ძლიერი და უბრალოდ ლამაზი ქალბატონი მარგო ჯანიაშვილი დაიბადა 1952 წლის 1 ნოემბერს ფოთში. სწავლობდა №7 საშუალო სკოლაში, სადაც გამოირჩეოდა კარგი აკადემიური მოსწრებით. სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა პუშკინის სახელობის ინსტიტუტში პედაგოგიკა- ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. გამორჩეულად კარგად თამაშობდა ხელბურთს. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის ორგზის პრიზიორი გახლავთ. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გაანაწილეს დედოფლისწყაროს პროფესიულ სასწავლებელში ისტორიის პედაგოგად. ერთი წლის შემდეგ მუშაობა განაგრძო განათლების სამინისტროში, მაგრამ როგორც თავის ქალაქზე უზომოდ შეყვარებული ფოთს დაუბრუნდა და მუშაობა მანქანათმშენებელი ქარხნის ბაღის გამგედ გააგრძელა. 1991 წელს №11 საშუალო სკოლაში, მითოლოგიის, კულტურა-რელიგიის და სპორტის მასწავლებლად განაგრძო. 2007 წელს სკოლამდელ- საადმზრდელო გაერთიანებაში ჯერ სპეციალისტი გახლდათ, მოგვიანებით დირექტორის მოადგილედ დაწინაურდა.

2014 წლიდან მუშაობა განაგრძო მაჟორიტარი დეპუტატის ეკა ბესელიას ბიუროს ხელმძღვანელად. როგორც ქალბატონი მარგო გვეუბნება, ეს მნიშვნელოვანი ეტაპი იყო მის ცხოვრებაში: "ერთ მშვენიერ დღეს დამირეკა ეკა ბესელიამ, შემომთავაზა დავბრუნებულიყავი ჩემს უსაყვარლეს ქალაქში და მის ბიუროში მემუშავა. ეს იქნება ჩემი ცხოვრების განმავლობაში დაუვიწყარი დღე".

რატომ ვერ აეწყო მისი პირადი ცხოვრება - „ყველაფერი ღვთის ნებაა. ცხოვრებას უყვარს რისკი, უნდა გარისკო აუცილებლად, მაგრამ მე ვერ გავრისკე". მარგო ჯანიაშვილი ძალიან თბილად და დიდი სიყვარულით საუბრობს თავის დისშვილებსა და იმათ შვილებზე. სწორედაც წლების შემდეგ თავის მომავალს მათ უკავშირებს.

გზა რომელიც დღემდე გაიარა მარგო ჯანიაშვილმა - „იყო ტკივილიც, სიხარულიც, ბევრი დასამახსოვრებელი, დაუვიწყარი დღე. წლების შემდეგ გადავაფასე ღირებულებები და ვთვლი, რომ სიყვარულით ნაკეთებ საქმეს არაფერი სჯობს".

რას უსურვებთ ქალბატონებს? - „ყველა ქალბატონს ვუსურვებ მეტ სითბოს და სინათლეს ოჯახებში, ქალურ ბედნიერებს, კეთიდღეობას, შვილების ჯანმრთელობას, წარმატებას. უყვარდეთ მათ და იყვნენ საყვარელი და სასურველნი".

მოვდივარ და მომყვება სითბო, რაც მასთან ურთიერთობისას აუცილებლად გადმოგედებათ. მარგო ჯანიაშვილი ძლიერი, საქმიანი და უბრალოდ ულამაზესი ქალბატონი გახლავთ, რომელიც ასე ალამაზებს ჩვენს ქალაქს.

კონკურსი

,,წარმატებული ქალი,,

კუპონი №1

კონკურსანტის
სახელი და გვარი ----------
ჩვენი მისამართი: ფოთი, 26 მაისის 7

ეკატერინე ლომინაძე: ,,რასაც გასცემ, იმას მოიმკი,,

დღეს ეკატერინე ლომინაძეს გაგაცნობთ - ძალიან შრომისმოყვარე და თბილ ქალბატონს, რომლისათვისაც მთავარი პასუხისმგებლობა და საქმის სიყვარულია. იგი მორიდებით საუბრობს თავის ცხოვრებაზე და ვხედავთ, რამდენადაა შეყვარებული თავის საქმეზე.

იგი ფოთში. 1974 წლის 2 ოქტომბერს დაიბადა. №1 საშუალო სკოლის წარჩინებით დასრულების შემდეგ სწავლა თბილისში სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე განაგრძო. პარალელურად სამკურნალო მასაჟს სწავლობდა ინსტიტუტის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კათედრაზე, ასევე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სასწავლო ცენტრში და სერტიფიკატიც აიღო.

ინსტიტუტი წარმატებით დაასრულა და 2000 წლიდან მუშაობდა ექიმ-კონსულტანტად, მასაჟის სპეციალისტად 5 წლის განმავლობაში. 2006-2016 წლებში კომპანია „ავერსის" რეგიონალური სამედიცინო წარმომადგენლი გახლდათ. ხოლო 2016 წელს გაიარა ტრენინგი „პაციენტების ბინაზე მოვლის პრაქტიკა და უნარ-ჩვევები". კურსის დასრულების შემდეგ დაიწყო მუშაობა ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და რეაბილიტაციის სამსახურის ექიმად. ეს არის „შინ მოვლის" სამსახური, სადაც ქალბატონი ეკატერინე ბენეფიციარებს ემსახურება და სამედიცინო დახმარებას უწევს ადამიანებს, რომლებსაც არ ჰყავთ ოჯახის წევრი. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ყოფილა შემთხვევა, როცა ქალბატონ ეკას, და არამარტო მას, „შინ მოვლის" ექთნებსაც პირადი ხარჯებით შეუძენიათ ბენეფიციარებისთვის წამლები და საკვებიც. ხშირად თბილი კერძიც მიუტანით მათთვის. როგორც თვითონ ამბობს, ჰყავს არაჩვეულებრივი მეუღლე, რომელიც გვერდში უდგას ყოველმხრივ: „მეუღლე მუდამ ხელს მიწყობს, რომ ჩემი საყვარელი საქმე ვაკეთო". საყვარელი საქმე კი, როგორც გვეუბნება, თავისი პროფესია და მასთან დაკავშირებული რამეა. მისი ოცნებაა თბილი კომპორტული მოხუცთა სახლი, რომელსაც თავად შექმნის დიდი რუდუნებით. შეიქმნება სახლი, სადაც ოჯახური სითბო, კომფორტი და სიყვარული იქნება უპირატესი.

ყველაზე მარტივი რეცეპტი წარმატების მოსაპოვებლად - „სამყაროში ყველაზე მთავარი სიყვარული და მადლიერების გრძნობაა. მადლიერების გარეშე არანაირი წარმატება არ არსებობს. ქრისტიანობაც გვასწავლის: იყავი მადლიერი, თხოვე პატიება და აპატიე. გვინდა თუ არა, გვჯერა თუ არა, მაინც ყოველ წუთს ვწერთ ჩვენი ცხოვრების სცენარს ჩვენი ფიქრებით. ადამიანი თუ ნეგატივშია, თუ ვერ პატიობს, თუ საკუთარი თავის და სამყაროს უკმაყოფილოა, რას შეიძლება ელოდოს მომავლისგან? ცხადია, ის თავის ცხოვრების გზაზე უკმაყოფილო ადამიანებს მოიზიდავს, რომლებიც მუდმივად შეახსენებენ, რომ ცხოვრება საშინელებაა, თავად კი უიღბლო. გარეგანი ასახავს შინაგანს, სამყარო გვირეკლავს და იმას გვაძლევს, რასაც გავცემთ. გავცემთ სიყვარულს? დაგვიბრუნებს სიყვარულს, გავცემთ კმაყოფილებას? გვაძლევს უფრო მეტ მიზეზს კმაყოფილებისთვის".

რას ურჩევთ ქალბატონებს? – "ყოველი დღე დაიწყონ პოზიტიური განწყობით, იყვნენ უფლის მადლიერნი და სიყვარულით აკეთონ ოჯახური თუ საზოგადოებრივი საქმე".

კონკურსი

,,წარმატებული ქალი,,

კუპონი №2

კონკურსანტის
სახელი და გვარი ----------
ჩვენი მისამართი: ფოთი, 26 მაისის 7 მეორე სართული

წერილი რედაქციას

პასუხი გაზეთის 2017 წლის №28-ში გამოქვეყნებულ პუბლიკაციას „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი„

გვინდა ავღნიშნოთ რომ წერილის ავტორი ობიექტურად საკითხების ცოდნით მიმოიხილავს ქალაქის განვითარების ეტაპებს და მიანიშნებს იმ მიზეზებზე, რომლებიც განაპირობებენ ქალაქის სივრცითი მოწყობისადმი მცდარს , არაკომპეტეტურ მიდგომებს. სამწუხაროა, რომ ასეთი მიდგომების მოძალება უკანასკნელ ათწლეულშიც გაგრძელდა, რაც თავს იჩენს მსხვილი პრობლემურ საკითხების დაძლევის ნაცვლად ნაკლებ მნიშვნელოვანი პროექტებითა თუ ღონისძიებების მათ ჩანაცვლებას, ამიტომაც არის ქალაქი ფოთი მთელ შავი ზღვის პირეთში ყველაზე მოუწყობელი, ინფრასტრუქტურულად წარსულში ჩარჩენილი მსხვილი დასახლებული პუნქტი. კიდევ ერთხელ მოვაგონებ კითხვებს, რომ გაუმართავია სანიაღვრე და ფიკალური კანალიზაციები, კოკისპირული წვიმების შედეგად იტბორება ქუჩები, საკარმიდამო ნაკვეთები, სადაფები, საფეკალური წყლები სანიაღვრო კოლექტორებთან და არხებთან არის მიეროებული და გაუწმენდავად ჩაიდინება ზღვაში, მუდმივ კავშირშია გრუნტის წყლებთან და აბინძურებს გარემოს. ვერც ერთ ქუჩას ვერ გაივლით თავიდან ბოლომდე ტროტუარით, იმიტომ რომ ქუჩებს იგი არ გააჩნია და ადამიანი იძულებულია ავტომობილების სავალ ნაწილზე გადავიდეს, ანუ ჩვენს ქალაქში ისევ გადაადგილდებიან ქვეითად, როგორც სოფლად ორდობეებში, რომელსაც ასევე ტროტუარები არ გააჩნიათ.

სრულიად მოუწესრეგებელია სანაპირო ზოლი, იგი ჯეროვნად გამაგრებული არ არის და არ ხდება მისი თუ სარეკრიაციოა თვისება. ეს მდგომარეობა წლებით აუთვისებელია და იქმნება შტაბეჭდილება, რომ მოსახლეობა და ქალაქის ხელმძღვანელობამაც თვალი შეაჩვია მას. ფოთი 3-4 ქუჩის ქალაქია. დღეს, თუმცა როგორც ავღნიშნეთ, სრულყოფილად არც ის 3-4 ქუჩა არ შეიძლება ჩაითვალოს.

გასაახლებელია ქუჩისპირა გამწვანება, რომელიც სავსეა გადაბერებული, ამორტიზებული ხეებით, განსაკუთრებით კოსტავას, აკაკის, წმინდა ნინოს, გეგიძის ქუჩაზე, სხვაგან იგი ფაქტიურად არ არსებობს და მოსახლეობის ანაბრად არის მიტოვებული. მოსახლეობაც საკუთარი კარმიდამოს წინ რგავენ იმ მცენარეებს, რომელსაც შოულობენ. ფოთი აბსოლუტურად ჩამორჩა ამ მხრივ არამარტო უფრო დიდ ქალაქებს, არამედ ზუგდიდსაც.

ასეთ ვითარებაში არც არის გასაკვირი ქალაქის ხელმძღვანელობა დაკავებულია აღმშენებლის ქუჩაზე, რკალზე ლამპიონების გადაღებვით ხან თეთრი, ხან ცისფერი, ხან შავი საღებავით. რიონის არხზე გადასასვლელი ხიდეებზე დამატებითი ელემენტების, ლომების, განათების ანძების დამონტაჟებით.

გულისტკივილს იწვევს ცენტრში არსებული ძეგლის კოლხი ქალის დემონტაჟი და გადაკეთება, არა და იგი პირველადი სახით აღიარებულია როგორც ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანეს ქმნილებათ.

მძიმე მდგომარეობაშია მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი მალთაყვაში, რომელსაც ტერიტორია ჩამოაჭრეს და მას შემდეგ მის აღდგენისათვის არ უზრუვნიათ. ორივე ძეგლი რომელთა ავტორები ქართული ეროვნული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები ელგუჯა ამაშუქერი და ვახტანგ დავითაია არიან, როგორც ავღნიშნეთ მიჩნეულია ჩვენი კულტურულ მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს ძეგლებად და მათი პირვანდელი სახით აღდგენა აუცილებელია.

ჰიდრომეორაციული ტექნიკუმის ისტორიული შენობა, რომელიც არამარტო ქალაქის, არამედ საქართველოს განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპის კოლხეთის საუკუნოვანი ჭაობების დაშრობისა და ათვისების მთელი ეპოქის ნიშანსვეტია, ასევე აღდგენას საჭიროებს და ეს არც თუ რთული საქმეა, მარტო თბილიში დავიტ აღმაშენებლისა და რუსთაველის პროსპექტზე ათობით უფრო ძველი შენობების აღდგენა მოხერხდა, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე დღეს მოქმედი ტაძარი გაგვაჩნია და რაღა ტექნიკუმის შენობის აღდგენა ჩაეთვალა აუცილებლად დასანგრევად, ვინ მოიყვანა იგი ამ მდგომარეობამდის? ხომ იდგა ის შენობა სახურავიანად, სართულ შუაგადახურვებით, კიბეებით, კი კარებიც ქონდა კი ფანჯრებიც ვინ მიიღო გადაწყვეტილება მისი ამ მდგომარეობამდე მისაყვანად. ეს მხოლოდ ნაწილია იმ კითხვებისა რომელიც შეიძლება დაუსვათ ქალაქის ხელმძღვანელობას, რომლებიც იგნორირებას უკეთებენ საზოგადოების აზრს, ანგარიშს არ უწევენ სამშენებლო საქმისა და სივრცითი მოწყობის სპეციალისტებს. სწორედ ამის შედეგია რომ სახემძღვანელოდ ქალაქს არ გააჩნია გენერალური გეგმა, არც დეტალური დაგეგმარების გეგმები, განაშენიანების თაობაზე გაწვეტილებები მიიღება ყურვალურად ცალკეული პირების შეხედულების ამ ვიწრო ჯგუფების მიერ. ქალაქის ცენტრში ისე აშენდა სახელმწიფო რეესტრის შენობა, რომ მისთვის ადგილი არა თუშ ერჩევა, იმ ადგილზე მიბმაც კი არქიტექტურულად და სამწუხაროდ ნორმების გაუთვალისწინებლად მოხდა.

დღეს შეუძლებელია სანიაღვრო კანალიზაციის დაგეგმარება და კორექტურება იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ არ გააჩნია ქალაქის ვერტიკალური გეგმარება, რომელიც ასევე რთული გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების გადასაწყვეტია თუ რას მოახმაროს საბიუჯეტო თანხები კანალიზაციისა და მშენებლობისათვის აუცილებელი საბაზრო დოკუმენტის ვერტიკალური გეგმარების შემუშავებას თუ ვთქვათ, სრულიად უსარგებლო "ფაზისობის" დაუსრულებელი ბორდურების შეცვლას ოქროს ვეძის ფორმით შადრევნის გადაკეთება, საეჭვო მხატვრული ღირებულების ქალაქის გეგმის შექმნას, გარეგანათებების ანძების არა აუცილებელი შეცვლა-შედებვას და სხვა.

გასული საუკუნის მიწურულს ბატონ შოთა ყალვაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც იმ დროს ქალაქის მერის მოადგილედ მუშაობდა ქალაქის განვითარების გეგმა შედგა. ის აქტიურია დღესაც, მაგრამ გამოუყენებელია. ის ერთადერთი მიზეზია იმისა, რომ ნავსადგურის ღობის მიღმა აღმოჩნდა საკმაოდ დიდი ტერიტორია, რომელიც ქალაქს მოაკლდა. ნავსადგურს უნდა აეშენებინა ახალი საზღვაო ვაგზალი სამხრეთ მოლთან, მაგრამ არც ეს შესრულებულა.

ნავსადგურს აღნაგობის წესით უსასყიდლოდ გადაეცა 380 ჰა ნაბადის უბანში 2005 წელს, ხოლო ამ "საჩუქრის" მოწინააღმდეგების მიმართ სისხლის სამართლის დევნა განხორციელდა.

ბევრი ლაპარაკია ტურიზმის განვითარების თაობაზე, მაგრამ არაფერი კეთდება ისტორიული, ძეგლების მოვლა-პატრონობის მიზნით, დღემდე საიდუმლოებით მოსილია ყოფილი გემთსაშენი კლუბის მეპატრონის სახელი ასევე უცნობია მისი გეგმები ამ უნიკალური შენობის აღდგენის შესახებ. გამოუყენებელია და ჩანაგდება ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალის, უშიშროების, მიქიაშვილის სახლის, მალთაყვაში პიონერთა ბანაკის შენობები.

ფაქტია, რომ ფოთი არვითარდება, მან ვერ მიიღო ტიპიური ქალაქის იერი.

ჩვენ ქალაქის პრობლემური საკითთხების მხოლოდ ნაწილს შევეხეთ, ეს პრობლემები კიდევ უფრო გაიზრდება, თუ ადგილობრივი ხელისუფლება არ შეცვლის მათი გადაწყვეტის ნაცვლად ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხებით ჩანაცვლების პოლიტიკას, კვლავაც თუ გააგრძელებს პეციალისტების, ფართო საზოგადოებრივი აზრის იგნორირებას.

ფოთისთვის აუცილებელია განვითარების ერთიანი პერსპექტიული გეგმის შემუშავება, რომელიც ჯერ კიდევ გვიანი არ არის და არის ძნელად შესასრულებელი. აუცილებელია მხოლოდ ახლადარჩეული ადგილობრივი ხელისუფლების ნება.

jemal gigiberia
denis janeliZe

სტიქიური ნაგავსაყრელები საქართველოში და მისი გავლენა ეკოსისტემებზე

R

საყოფაცხოვრებო ნარჩენი თანამედროვე გაგებით, არ არის ადამიანისთვის გამოუდეგარი ან არასაჭირო რამ, არამედ დღეს ის გვევლინება, როგორც მეორადი გამოყენების საგანი, რომლიდანაც შეიძლება შეიქმნას მოსახლეიბისათვის საჭირო მრავალი მოხმარების საგნები. წარმოშობის მიხედვით, ნარჩენი შეიძლება დავყოთ შემდეგ ტიპებად: სამრეწველო; სასოფლო-სამეურნეო; სამშენებლო; სამედიცინო; საყოფაცხოვრებო და სხვა. საშიშროების მიხედვით ნარჩენები შეიძლება დავყოთ - სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებად.

სახიფათოა ნარჩენი მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე, მათი შენახვის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ან თუ შეიცავს ის იმ ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც სხვადსხვა ტიპის საშიში ინფექციების გავრცელების წყაროა ან ეს ნივთიერებები ცეცხლსაშიშ და ადვილად ასაფეთქებელ ნივთიერებებს წარმოადგენენ. ასევე სახიფათოა ნარჩენი თუ ის საშიშია და ნეგატიურად მოქმედებს ადამიანის ჯამრთელობაზე.

საყოფაცხოვრებო ნარჩენი, არის ყოველივე ის, რაც გროვდება ოჯახებში, დაწესებულებებსა და ოფისებში, დასახლებულ კომპლექსებში და სხვა. მისი ფრაქციული შემადგენლობა შეიძლება დავყოთ სველ (ძირითადად საკვები პროდუქტების ნარჩენები) და მშრალ ფრაქციად.

მშრალი ფრაქციის შემადგენლობაა: პლასტიკა; მუყაო-ქაღალდი (მაკულატურა); შუშა; ქსოვილები (ძველი ტანსაცმელი); ელექტროსაგნები, ბატარეები, აკუმულატორები; რეზინის საგნები; ვერცხლისწყლის შემცველი ნათურები და სხვა.

საქართველოში განსაკუთრებულად მრავლადაა სტიქიური (არაკონტროლირებადი) ნაგავსაყრელები, რომლებიც ხშირად განლაგებული არიან ხევებში (განსაკუთრებით რეგიონებში), მდინარეების პირას, საძოვრების ტერიტორიებსა და დასახლებულ ტერიტორიებთან ახლოს. აღნიშნულ ნაგავსაყრელებზე ხშირად შევხვდებით სახიფათო ნარჩენებსაც, იმდენად, რამდენადაც ჩვენს ქვეყანაში ფაქტიურად არ არსებობს სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი. სტიქიური ნაგავსაყრელები, რომლებიც ხასიათდებიან განსაკუთრებული ანტისანიტარიით, სამწუხაროდ, მიმზიდველი გამოდგა შინაური ცხოველებისათვის და შესაბამისად საშიში იმ მოსახლეობისათვის, რომლებიც არც თუ ისე შორს ცხოვრობენ არსებული ნაგავსაყრელების ტერიტორიებიდან. ამიტომაც, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირის „ორქისი"-ის მუშა ჯგუფის მიერ („დავასუფთაოთ საქართველო"-ს (ფაზა III) პროექტის ფარგლებში) შვედეთის მთავრობის ფინანსური დახმარებით განხორციელდა თითქმის მთელი საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სტიქიური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია, აგრეთვე ზოგიერთი მეტად თვალსაჩინო სტიქიური ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიების ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები. შედეგად, პირველად ჩვენს ქვეყანაში, შესწავლილ და შეფასებულ იქნა ამ ტიპის ნაგავსაყრელების გავლენა ეკოსისტემების დაბინძურების პროცესებზე და იმ ნეგატიური ზეგავლენების დადგენა, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ადამიანების ჯამრთელობასთან დაკავშირებით.

არსებული მდგომარეობა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში, ძირითადად გამოწვეულია რეგიონებში სერვისის არ არსებობის და მოსახლეობის შედარებით დაბალი ცნობიერების გამო (ეკოლოგიური განათლების ნაკლებობა). საქმე იმაშია, რომ ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი აწყობილი სისტემა, რომელიც დაალაგებდა ყველა ამ პრობლემას და გახდიდა საქართველოს უფრო ევროპულ ქვეყანად. ამისათვის ალბათ საჭიროა საქართველოს მთავრობამ ჩადოს მეტი ფინანსები მოცემული პრობლემების გადაწყვეტაში და მოიზიდოს მეტი ინვესტორები.

კომპონენტები, რომლებიც ჩვენს მიერ იქნა შესწავლილი, ახასიათებთ და შესაბამისად არსებობენ ნაგავსაყრელების ტერიტორიებზე. ესენი არიან ზოგიერთი ბიოგენური ელემენტების ფორმები, ზოგიერთი კანცეროგენული მძიმე ლითონები, ან ისეთი აქტიური მიკრობაქტერიები, როგორებიცაა ერშერიხია კოლი (-ცოლი), ფეკალური სტრეპტოკოკები, ტოტალური კოლიფორმები, რომლებიც გარემოში ხშირად ქმნიან ანტისანიტარულ მდგომარეობას.

როგორც მოგახსენეთ, საანალიზო ნიმუშებს (ნიადაგი, წყალი) ვიღებდით სტიქიური ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიებიდან, რომლებსაც ვიკვლებდით როგორც ფიზიკურ-ქიმიური, ქიმიური, ასევე მიკრობიოლოგიური კუთხით, ანუ ჩვენთვის დაინტერესებულ ობიექტებს ვსწავლობდით კომპლექსურად.

რამოდენიმე წლის მიღებულმა შედეგებმა თვალნათლივ დაგვანახეს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სტიქიური ნაგავსაყრელები ხშირ შემთხვევაში აბინძურებენ მიმდებარე ტერიტორიებს, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნის შინაური ცხოველებისა და რეგიონში მაცხოვრებელი მოსახლეობის ჯამრთელობას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მხრივ ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ვიდრე მის დასავლეთ ნაწილში. კერძოდ, მძიმე ლითონებიდან ნიადაგის ნიმუშები ყველაზე დაბინძურებული აღმოჩნდა ტყვიით. ის ხშირ შემთხვევაში რამოდენიმეჯერ აჭარბებდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს (ზდკ), ასევე მძიმე ლითონებიდან თავი იჩინა სპილენძმა და თუთიამაც, თუმცა არა იმ დოზით, რასაც ადგილი ჰქონდა ტყვიის შემთხვევაში. მხოლოდ და მხოლოდ 2 შემთხვევაში აღმოჩნდა მიმდებარე ტერიტორია დაბინძურებული კადმიუმით, რომელიც თავისი კანცეროგენული თვისებებით არაფრით ჩამოუვარდება ტყვიას. არცერთ ნიმუშში არ აღმოჩნდა საანალიზო ნიმუშები დაბინძურებული ვერცხლისწყლით.

მდინარის წყლის საანალიზო ნიმუშების შედეგებმა (თუკი ნაგავსაყრელი მდებარეობდა მდინარის პირას) ასევე დაგვანახეს, რომ სტიქიური ნაგავსაყრელები ხშირ შემთხვევაში აბინძურებს მდინარის წყალს და, შესაბამისად, გარკვეულ როლს თამაშობს ზედაპირული წყლების დაბინძურების პროცესებში. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ უმეტეს შემთხვევაში როგორც ნიადაგის ასევე წყლის ნიმუშებში დაფიქსირდა -ცოლი-ისა და ფეკალური სტრეპტოკოკების ნორმატივებზე მეტი რაოდენობები, ასევე ამონიუმის იონის მომატებული კონცენტრაციები, რაც მიანიშნებს მიმდებარე ტერიტორიების ანტისანიტარულ მდგომარეობაზე.

ჩვენს მიერ განხილული დამაბინძურებლები ნაგავსაყრელებზე შემთხვევით როდი ხვდება; ისინი სხვადასხვა პროდუქტის თუ ნივთის შემადგენლობაში შედიან და ასე აღმოჩნდებიან ხოლმე მოცემულ ობიექტებზე. ესენია - რემონტის შემდგომ დარჩენილი საღებავიანი ან რაიმე გამხსნელის შემცველი ჭურჭელი, გატეხილი ვერცხლისწყლიანი თერმომეტრები, წყობიდან გამოსული ეკონომიური ნათურები, ბატარეები, კონდენსატორები, საკვები ნარჩენები და მრავალი სხვა.

ბოლოს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელები მნიშვნელოვნად ნეგატიურ გავლენას ავლენენ ეკოსისტემების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ქვეყნის მთავრობამ (განსაკუთრებით კი ადგილობრივმა თვითმმართველობის წარმომადგენლებმა) მეტად უნდა იზრუნოს (მაგალითად, შესთავაზონ მეტი სერვისი)იმაზე, რომ ქვეყანაში სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლოს და რაც მეტად მნიშვნელოვანია ქვეყანა უნდა მოემზადოს იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოს ყველა ის დირექტივები და ვალდებულებები, რომლებიც იმ ევროასოცირების ხელშეკრულების შემადგენელია, რომელსაც მან ხელი მოაწერა.

მომადგენლებმა) მეტად უნდა იზრუნოს (მაგალითად, შესთავაზონ მეტი სერვისი)იმაზე, რომ ქვეყანაში სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლოს და რაც მეტად მნიშვნელოვანია ქვეყანა უნდა მოემზადოს იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოს ყველა ის დირექტივები და ვალდებულებები, რომლებიც იმ ევროასოცირების ხელშეკრულების შემადგენელია, რომელსაც მან ხელი მოაწერა.

ნუგზარ ბუაჩიძე

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, გარემოს მონიტორინგის ექსპერტი იმის მიმანიშნებელია, რომ ქვეყნის მთავრობამ (განსაკუთრებით კი ადგილობრივმა თვითმმართველობის წარმომადგენლებმა) მეტად უნდა იზრუნოს (მაგალითად, შესთავაზონ მეტი სერვისი)იმაზე, რომ ქვეყანაში სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლოს და რაც მეტად მნიშვნელოვანია ქვეყანა უნდა მოემზადოს იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოს ყველა ის დირექტივები და ვალდებულებები, რომლებიც იმ ევროასოცირების ხელშეკრულების შემადგენელია, რომელსაც მან ხელი მოაწერა.

ნუგზარ ბუაჩიძე

qimiis mecnierebaTa doqtori,
garemos monitoringis eqsperti

საინტერესო ფაქტები, რომლებიც ყველამ არ იცის

- თუ ყვითელ კანარის ჩიტს წითელი პილპილით გამოვკვებავთ, ბუმბულები დაუღაჟა ნარინჯისფერი გაუხდება.
- ოქრო იმდენად იშვიათი მეტალია, რომ ერთ საათში მოპოვებული რკინა უფრო მეტია, ვიდრე კაცობრიობის მიერ მოპოვებული ოქრო მთლიანად.
- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისას ადამიანის თმა 725 კილომეტრის სიგრძის იზრდება.
- პარალელური ხაზები კოსმოსში იკვეთებიან.
- ფენ-შუი თავიდან ნიშნავდა საფლავების მორთვის ხელოვნებას.
- დაცემინებისას ყველა ორგანოს ფუნქციონირება ჩერდება - გულისაც კი.
- იხვის ყიყინი ექოს არ იძლევა
- აზიდვების მაქსიმალური რაოდენობა ერთ ჯერზე არის 46001.
- გველს შეუძლია იძინოს სამი წლის განმავლობაში.
- თეორი ვეშაპის გული ფოლკსვაგენ ჟუკის ოდენაა.
- მსოფლიოში ყოველდღიურად 100000000 სქესობრივი აქტია, თუმცა მხოლოდ 910000 მთავრდება განაყოფიერებით.
- ერთი მილიარდი წამი დაახლოებით 37 წელიწადია.
- ქამელეონის ენა მის სხეულზე ორჯერ დიდია.
- მაიკლ ჯორდანი კოლეჯში სწავლისას, მეორე კურსზე საკალათბურთო გუნდში არ აიყვანეს არასაკმარისი სიმაღლის გამო.
- კენიაში ოჯახის ბიუჯეტის მესამედი ქრთამების გაცემას ხმარდება.
- სპრინტერს (მორბენალი) შეუძლია სტარტიდან პირველ 10 მეტრზე სპორტულ ავტომობილს გაუსწროს.
- სახეზე ფერიმჭამელების მოშორება შესაძლებელია ნებისმიერი ანტიბიოტიკის (ასპირინი, სუპრასტინი) საშუალებით - თუ დაფხვნილ აბს დავუმატებთ წვეთ წყალს.
- ერთადერთი ჩიტი, რომელსაც უკუღმა ფრენა შეუძლია, არის კოლიბრი.
- გიგანტური ხვლიკი - კომოდო თავს ესხმის ირემსა და ტახსაც კი.
- მამაკაცთა ნახევარი საპირფარეშოდან გამოსვლისას ხელებს არ იბანს.
- აეროდინამიკისა და ზუსტი ბალანსის შესანარჩუნებლად, არწივის ერთი ფრთიდან რომელიმე ბუმბულის გამოვარდნისას მეორე ფრთაზეც ზუსტად ის ბუმბული სცილდება.
- ხეოფსის პირამიდის ფილებს შორის სივრცეებში შეუძლებელია სამართებლის გატარება.
- ფინეთში არსებობს ცოლების გადაყვანის ჩემპიონატი. ყველაზე შორ მანძილზე ცოლის მხრებით გადამყვანი ჯილდოდ იღებს იმ რაოდენობის ლუდს, რამდენ კილოგრამსაც იწონის მისი მეუღლე.
- არწივები ჰაერში წყვილდებიან.
- მსოფლიოში, მძღოლები უფრო მეტ ირმებს კლავენ, ვიდრე მონადირეები.

განცხადება

-შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია" აცხადებს, რომ მომზადებულია ქ. ფოთში, ლარნაკას ჩიხში (ნაბადას შბანი) მდებარე, მისი საწარმოო ობიექტის - ცემენტის წისქვილის საქმიანობის შედეგად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომლის საჯარო განხილვაც მოეწყობა 2018 წლის 21 თებერვალს, 14 საათზე ფოთის მუნიციპალიტეტის შენობაში (ქ. ფოთი, 4400, აღმაშენებლის ქ. №12) საწარმო გათვლილია წლიური 216000 ტონა ცემენტის წარმოებაზე.

დაინტერესებულ პირებს ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტთან გაცნობისა და თავიანთი მოსაზრებების წერილობითი ფორმით დაფიქსირების შესაძლებლობა ექნებათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში (2018 წლის, 11 თებერვალს, 17 საათამდე) შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, გულუას ქ. №6);
- შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია"-ს ოფისი (ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №21); - შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია"-ს ფოთის ცემენტის საწარმოს ოფისი (ქ. ფოთი, ლარნაკას ჩიხი).

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)-37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში თქვენი პრობლემების კვალდაკვალ

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.